ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05. 10. 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №338-ს
ქ.თბილისი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2020 - 2021 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N11/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის ლევან ჯიქიას 2020 წლის 5 ოქტომბრის N1/1941 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2020 - 2021 სასწავლო წლის ადმინისტრირება უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

<u>დანართი</u>

მასწავლებელთა მომზადების პროგრამა
აკადემიური კალენდარი

შემოდგომის I სემესტრი

2020 წლის 12 ოქტომბერი - 2021 წლის 20 თებერვალი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **2020 წლის 12 ოქტომბერი - 2021 წლის 6 თებერვალი**
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **2021 წლის 8 - 20 თებერვალი**
საშობაო არდადეგები - **2020 წლის 31 დეკემბერი - 2021 წლის 7 იანვარი**

უქმე დღეები

სვეტიცხოვლობა - **14 ოქტომბერი - (ოთხშაბათი)**
გიორგობა - **23 ნოემბერი (ორშაბათი)**
ნათლისღება - **19 იანვარი (სამშაბათი)**

გაზაფხულის II სემესტრი

2021 წლის 9 მარტი - 17 ივლისი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **9 მარტი - 3 ივლისი**
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **5 - 17 ივლისი**
სააღდგომო არდადეგები - **26 აპრილი - 3 მაისი**

უქმე დღეები

ეროვნული ერთიანობის დღე - **9 აპრილი (პარასკევი)**
ფაშიზმზე გამარჯვების დღე - **9 მაისი (კვირა)**
- წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე - **12 მაისი (ოთხშაბათი)**
დამოუკიდებლობის დღე - **26 მაისი (ოთხშაბათი)**